DisboXID 462
2K-EP-Grundierung

გამჭვირვალე 2 კომპონენტიანი - ეპოქსიდური ფისის საგრუნტავი მასალა, მინერალური ზედაპირების მქონე იატაკების დასაგრუნტად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

მინერალური ზედაპირების მქონე იატაკების დასაგრუნტად და გასაჟღენთად.

გლუვი ან მოცურების საწინააღმდეგო დანაფარების შესაქმნელად - ბზარების დალუქვა/შევსებისათვის.

შეიძლება გამოყენებულ იქნას Disbon-ის ავტოფარეხების სისტემებში: OS 8, OS 10 და 11 a + b, როგორც ზედაპირების გამათანაბრებელი/შემავსებელი საშუალება (ფითხი).

ასევე გამოიყენება, როგორც შემკვრელი - პროდუქტისთვის: DisboADD 946 Quarzsandmischung (კვარცის ქვიშის ნარევი), 0,01 - 2,0 მმ, მაღალი ცვეთამედეგობის მქონე ინდუსტრიული დანაფარების შესაქმნელად და დაზიანებული უბნების ხელახალი პროფილირებისათვის.

პროდუქტი შემოწმებულია სამშენებლო მასალების სანიტარულ-ჰიგიენური შეფასების კომიტეტის (AgBB) კრიტერიუმების შესაბამისად - ემისიაზე (გაფრქვევა) და აქროლადი ორგანული შენაერთების ემისიაზე (VOC). AgBB-ის შეფასების სქემა შემუშავდა გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ - მგრძნობიარე სივრცეებში სამშენებლო მასალების გამოყენებისთვის.

თვისებები

- მაღალი შეღწევადობის უნარი
- მოპრიალებადი
- ქიმიური ნივთიერებების მიმართ კარგი მედეგობა
- სისველის მიმართ ხანგრძლივი მედეგობა
- მექანიკური დატვირთვების მიმართ უკიდურესად მედეგი
- აკმაყოფილებს DIN EN 1504-2 მოთხოვნებს: ბეტონის ზედაპირის დაცვის სისტემები;
- შემცირებული ემისიები შემადგენლობაში
- შემოწმდა ტენიანობის ზემოქმედებაზე 56 და 250 დღის განმავლობაში
- არ შეიცავს საღებავის დატენიანებისთვის ხელისშემშლელ ნივთიერებებს

მასალის შემკვრელი

დაბალი სიბლანტის 2 კომპონენტიანი ეპოქსიდური ფისი, სრულიად მყარი, გერმანული სამშენებლო ქიმიკატების ნორმების მიხედვით.

შეფუთვის ზომები

2,5 კგ. ლითონის კომბინირებული კონტეინერი,
10 კგ. ლითონის კომბინირებული კონტეინერი,
25 კგ. შეფუთვა (კომპ. A: 18,75 კგ. სათლი, კომპ. B: 6,25 კგ. ლითონის კონტეინერი),
800 კგ. შეფუთვა (კომპ. A: 200 კგ. ბარელი (3x), კომპ. B: 200 კგ. ბარელი (1x)).

ფერი

გამჭირვალე

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.
ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 2 წელია. დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში, გამოყენებამდე მასალა შეინახეთ დაახლ. 20°C ტემპერატურაზე.

AgBB-konform

ტექნიკური პარამეტრები	■ სიმჭიდროვე: დაახლ. 1,1 გ/სმ3 ■ მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 95 µm/100 გ/მ2 ■ ელასტიურობის სიმტკიცე "König'-ის მიხედვით: დაახლ. 130 წმ. ■ სიხისტე "შორი"-ის მიხედვით (A/D): დაახლ. D 80 ■ შეკუმშვის ძალა: მასალის შემკვრელი > 70 N/მმ² ხსნარი: 1:10 > 95 N/მმ² ■ სიბლანტე: 20 °C, დაახლ. 430 mPas ■ მოღუნვის დაჭიმვის სიმტკიცე: მასალის შემკვრელი დაახლ. 75 N/მმ² ხსნარი 1:10 დაახლ. 30 N/mm²

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ბეტონი და ცემენტი. ზედაპირები უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან. ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 1.5 N / მმ2. ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1.0 N / მმ2– ზე დაბალი. ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას: ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4%. აუცილებელია ზრდადი ტენიანობის გამორიცხვა/თავიდან აცილება.
ზედაპირის მომზადება	ზედაპირი უნდა მომზადდეს მექანიკურად, განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად. არამზიდი და დაბინძურებული დანაფარები/ფენები სრულად უნდა მოშორდეს ზედაპირს. ფორები და ღრუები უნდა გაიხსნას, ზედაპირს უნდა ჰქონდეს წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა.
მასალის მომზადება	კომპონენტი A (ძირითადი მასა) ამოურიეთ და დაამატეთ კომპონენტს B (გასამყარებელი მასა). შემდეგ ნელა მბრუნავ სარევში (მაქსიმუმ 400 U/წთ.) ინტენსიურად შეუარიეთ ერთმანეთს, ერთგვაროვანი მასის და ფერის მიღებამდე. მასალა გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში (საცავში) და კვლავ საფუძვლიანად აურიეთ. გამყარების დასაჩქარებლად და უფრო სწრაფი მუშაობისთვის, კომპონენტ B-ს (გასამყარებელი მასა) შეურიეთ პროდუქტი: DisboADD 903-ი (დამაჩქარებელი ეპოქსიდური ფისებისთვის) მაქს. 5.5% (მთლიანი მასის მიხედვით). შემდეგ მიღებული მასა გაურიეთ კომპონენტ A-ს (ძირითადი მასა) და საფუძვლიანად აურიეთ. დამაჩქარებელი არ არის OS და AgBB შემოწმების ნაწილი. ვერტიკალური და დახრილი ზედაპირების დამუშავებისთვის, შესაძლებელია მასალაში 3 წონა.-% პროდუქტის: DisboADD 952-ის დამატება.
შერევის კოეფიციენტი	კომპონენტი A (ძირითადი მასა) : კომპონენტი B (გასამყარებელი) = 3 : 1 ნაწილები წონის მიხედვით
დატანის მეთოდები	მასალის დატანა შესაძლებელია - რეზინის შპატელით, საგრუნტი ფუნჯით, საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭით, ან საგლუვი ქაფჩით.
დაფარვის სტრუქტურა	**საგრუნტი დანაფარი** დაასხით შერეული მასალა ზედაპირზე და ნელ-ნელა, თანაბრად გაანაწილეთ რეზინის შპატელით, ისე რომ მოხდეს ფორების სრულად დაფარვა. ზედაპირზე ხარვეზების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, მასალას გადაატარეთ საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭი - ჯვარედინი სვლით. ძლიერად შემწოვ ზედაპირებზე საჭიროა განმეორებითი საგრუნტი ფენის დატანა - ფორების სრულფასოვნად დახურვისათვის. საგრუნტ დანაფარებზე დამატებითი სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში. სამუშაო პროცესის მსვლელობისას, ხანგრძლივი შესვენების შემთხვევაში, ახლად დატანილ საგრუნტ დანაფარზე, მსუბუქად უნდა მოიყაროს კვარცული ქვიშა. გასათანაბრებელი ხსნარები და დანაფარები, უნდა მოიყაროს კვარცული ქვიშით/პროდუქტით: DisboADD 943-ით და ხსნაროვანი დანაფარები კვარცული ქვიშით/პროდუქტით: DisboADD 944 (იხილეთ შესაბამისი ტექნიკური ინფორმაცია). არ მოყაროთ კვარცული ქვიშა 1 მმ-ზე ნაკლები ფენის სისქის დანაფარებზე. ქვიშა მოუყრელი საგრუნტი დანაფარები, განმეორებით უნდა დამუშავდეს 24 საათის მანძილზე. **მოცურების საწინააღმდეგო/ძირითადი დანაფარი** მოცურების საწინააღმდეგო დანაფარის შესაქმნელად, ახლად დაგრუნტულ დანაფარებზე უნდა მოიყაროს კვარცული ქვიშა/პროდუქტი: DisboADD 943 ან DisboADD 944-ი, ან სხვა შესაფერისი ქვიშის პროდუქტები (მაგალითად: Durop-ი, Granitsplitt-ი ან Silicium-Carbid-ი). **ზედაპირის გათანაბრება/დაფითხვა** *უსწორმასწორო ზედაპირების გასასწორებლად და უხეში ჩაღრმავებების ამოსავსებად > 1 მმ (იზომება-ქვიშით ზედაპირების დამუშავების მეთოდით*), საჭიროა ზედაპირის - შემავსებელი ფითხით* დამუშავება. საფითხი მასის მომზადება: DisboXID 462 2K-EP-Grundierung: 1 წონა-წილი, DisboADD 942 Quarzsandmischung 0,1 - 0,4 მმ: 1,5 წონა-წილი.

უსწორმასწორო ზედაპირების გასასწორებლად და უხეში ჩაღრმავებების ამოსასვებად > 1 მმ (იზომება-ქვიშით ზედაპირების დამუშავების მეთოდით*), საჭიროა ზედაპირის - შემავსებელი ფითხით დამუშავება.

საფითხი მასის მომზადება:
DisboXID 462 2K-EP-Grundierung: 1 წონა-წილი,
კვარცის ქვიშა: 1,5 წონა-წილი
(DisboADD 942 + DisboADD 943 1 : 1 ნარევი).

დაასხით ფითხი ახლად დაგრუნტულ ზედაპირზე (საგრუნტი ფენა). მასალა გადაანაწილეთ საგლუვი ქაფჩით მთელს პერიმეტრზე, რათა მოხდეს უსწორმასწორო ადგილების და ჩაღრმავებების შევსება/გათანაბრება.

* ქვიშით ზედაპირების დამუშავების მეთოდები „DafStb"-დირექტივის მიხედვით, სარემონტო ინსტრუქციები, ნაწილი 3: უსწორმასწორო ადგილების სიღრმის განსაზღვრა.

ხსნაროვანი დანაფარი
იატაკის ზედაპირი დაგრუნტეთ. მოამზადეთ ხსნარი პროდუქტებით: DisboXID 462 2K-EP-Grundierung: 1 წონა-წილი და DisboADD 946: 10 წონა-წილი.
შემკვრელის 2,5 კგ-იანი კონტეინერი განკუთვნილია (შესარევად მზადაა) - კვარცის ხსნარის 25 კგ-იანი ტომრისთვის. კვარცის ხსნარი ჩაასხით ფორსირებულ მომრევში და ნელა დაამატეთ შემკვრელის ნარევი - ინტენსიურად აურიეთ 3 წუთის განმავლობაში. დაიტანეთ ხსნარი, დაგრუნტულ ან გამყარებულ ზედაპირზე - „სველი-სველზე" მეთოდით. შემდეგ გაასწორეთ პლასტმასის ან უჟანგავი ფოლადის შპატელით. ხსნაროვანი დანაფარების დატანამდე, უკვე არსებული ხსნარები წინასწარ მოაცილეთ ზედაპირს. ხსნაროვანი დანაფარების ხელახლა დამუშავების წინ, DisboXID 462 2K-EP-Grundierung-ში დაამატეთ დაახლ. 2 წონა-% DisboADD 952 Stellmittel-ი და მიღებული მასალით გაჟღინთეთ/დაგრუნტეთ იგი.

პლინტუსები (რადიუსი: 5 სმ)
იატაკის ზედაპირი დაგრუნტეთ. მოამზადეთ ხსნარი პროდუქტებით: DisboXID 462 2K-EP-Grundierung: 1 წონა-წილი და DisboADD 946: 10 წონა-წილი. მომზადებული მასალა დაიტანეთ შესაფერისი ხელსაწყოს გამოყენებით - 5სმ რადიუსით.

ავტოფარეხების სისტემები - OS 8, OS 10 და OS 11 a + b:
გთხოვთ გაითვალისწინოთ სისტემების შესაბამისი მონაცემთა ფურცლები.

*ქვიშით ზედაპირების დამუშავების მეთოდები „DafStb"-დირექტივის მიხედვით, სარემონტო ინსტრუქციები, ნაწილი 3: უსწორმასწორო ადგილების სიღრმის განსაზღვრა.

ხარჯი

საგრუნტი დანაფარი	დაახლ. 200–400 გ/მ2
დამცავი ფენა	დაახლ. 250–500 გ/მ2 თითო ფენა
ზედაპირის გათანაბრება/დაფითხვა *მსუბუქად უხეში, გლუვი ზედაპირებისთვის* *ჩაღრმავებების სიღრმე 1მმ-მდე*	
DisboXID 462 DisboADD 942	დაახლ. 660 გ/მმ/m2 დაახლ. 1000 გ/მმ/m2
უხეში, არა გლუვი ზედაპირებისთვის *ჩაღრმავებების სიღრმე 1მმ-დან*	
DisboXID 462 DisboADD 942 DisboADD 943	დაახლ. 660 გ/მმ/მ2 დაახლ. 500 გ/მმ/მ2 დაახლო. 500 გ/მმ/მ2
ხსნაროვანი დანაფარები*	
DisboXID 462 DisboADD 946	დაახლ. 190 გ/მმ/მ2 დაახლ. 1900 გ/მმ/მ2
პლინტუსები	
DisboXID 462 DisboADD 946	დაახლ. 150 გ/მ დაახლ. 1500 გ/მ

ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

* ეპოქსიდური ხსნარების (EP) - აივნის იატაკების ზედაპირებზე გამოყენება მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი, ეპოქსიდური ხსნარების და ბეტონის გაფართოების სხვადასხვა სიჩქარის გამო. ფართომასშტაბიანი დატანა შეუძლებელია, რადგან დანაფარებზე წარმოიქმნება ბზარები.

გამოყენების დრო

20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში დაახლ. 30 წუთი. პროდუქტის: DisboADD 903-ის დამატებისას, გამოყენების დრო იკლებს - დაახლ. 20 წუთით. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამოყენების დრო მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური - 10 ° C, მაქსიმალური - 30 ° C.
ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3 ° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას.

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი

სამუშაო პროცესებს შორის ინტერვალის დასაშვები დრო, 20 °C ტემპერატურის პირობებში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 15 საათს და მაქსიმუმ 24 საათს. უფრო ხანგრძლივი ინტერვალის შემთხვევაში, ზედაპირი უნდა გაიშლიფოს შემდგომი ფენის დატანამდე, თუ წინასწარ არ მოხდა კვარცული ქვიშის მოყრა. პროდუქტი: DisboADD 903-ის გამოყენებისას, საჭიროა კვარცული ქვიშის მოყრა, თუ არ მოხდა მომდევნო დანაფარის იმავე დღეს დატანა (მაქს. 12 საათის შემდეგ).

სამუშაოებს შორის, ინტერვალის დრო DisboADD 903-ის დამატების შემთხვევაში			
შეფუთვის ზომა DisboXID 462	**0,5 ლიტრიანი კონტეინერების რაოდენობა DisboADD 903**	**10° C - ტემპერატურის პირობებში**	**20° C - ტემპერატურის პირობებში**
2,5/ 10 / 25 კგ.	-	36 საათი	15 საათი
25 კგ.	1	22 საათი	7 საათი
25 კგ.	2	17 საათი	5 საათი
25 კგ.	3	14 საათი	4 საათი
10 კგ.	1	17 საათი	5 საათი

მაღალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის პერიოდი მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

შრობის დრო

20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში, დაახლ. 15 საათის შემდეგ დასაშვებია ზედაპირზე ფეხით სიარული. დაახლ. 7 დღის შემდეგ, ზედაპირი მზადაა სრული მექანიკური დატვირთვების ასატანად. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება. გამყარების/გამაგრების პერიოდში დაიცავით დატანილი მასალა ტენიანობისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ზედაპირი დაზიანდეს და შემცირდეს ადჰეზია.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გაწმინდეთ პროდუქტით: DisboADD 419.

მითითებები

სერთიფიკატები

აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

შენიშვნა

ულტრაიისფერი გამოსხივების და ამინდის ზემოქმედებისას, შესაძლებელია ფერის და ფაქტურის ცვლილება. ასევე ორგანულმა საღებავებმა (მაგალითად: ყავა, წითელი ღვინო და ფოთლები) , ან ქიმიურმა ნივთიერებებმა (მაგალითად: სადეზინფექციო საშუალებები, მჟავები და ა.შ) შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება. ეს არ ახდენს გავლენას მასალის ეფექტურობასა და ექსპლუატაციის თვისებებზე.

უსაფრთხო მოხმარების წესები

პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის.

კომპონენტი A (ძირითადი მასა):
იწვევს კანის გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. იწვევს სერიოზულ თვალის დაზიანებას - ატარეთ დამცავი სათვალე. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ კანი. არ დაუშვათ გარემოში და ნიადაგში მოხვედრა. ატარეთ დამცავი ხელთათმანები და სათვალე. თვალების ხანგრძლივი გაღიზიანების შემთხვევაში: მიმართეთ ექიმს. სამუშაო ტანსაცმელი გაიხადეთ და გარეცხეთ შემდეგ გამოყენებამდე.
შეიცავს: ბის-პროპანი, ეპოქსიდური ფისოვანი ბისფენოლ-F MG <700, ოქსირანი, მონო წარმოებულები.

კომპონენტი B (გასამყარებელი მასა):
საზიანოა ჯანმრთელობისთვის გადაყლაპვის და შესუნთქვის შემთხვევაში. იწვევს კანის გაღიზიანებას. იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია. აღიზიანებს სასუნთქ გზებს. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ორთქლი/აირები. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. ატარეთ დამცავი ხელთათმანები / დამცავი ტანსაცმელი / დამცავი სათვალეები / სახის დაცვა. **კანთან ან თმასთან კონტაქტისას:** დაუყოვნებლივ გაიხადეთ სამუშაო ტანსაცმელი და საფუძვლიანად ჩამოიბანეთ კანი (თმა). **შესუნთქვის შემთხვევაში:** გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე, იზრუნეთ შეუფერხებელ სუნთქვაზე, სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. **თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში:** რამოდენიმე წუთის მანძილზე გამოიბანეთ წყლით, კონტაქტური ლინზები გამოიღეთ, განაგრძეთ დაბანა, სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.
შეიცავს: ბენზილალკოჰოლი, მ-ფენილენბის(მეთილამინი), 3-ამინომეთილ-3,5,5-ტრიმეთილციკლოჰექსილამინი, 3,6,9-ტრიაზაუნდეკამეთილენდიამინი, ცხიმოვანი მჟავები C18 unsat, რეაქციის პროდუქტები ტრიეთილენტეტრამინთან, 3-ამინოპროპილდიმეთილამინი, 3-ამინოპროპილდიმეთილამინი.

უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/j): 500 გ/ლ, ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 110 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	Giscode: RE 30
დამატებითი ინფორმაცია	იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები.

CE-მარკირება

CE

Disbon GmbH
Roßdörfer Straße 50, D-64372 Ober-Ramstadt

13

1119

DIS-462-01240

EN 13813:2002

ზედაპირის დამცავი საშუალება - საფარი
EN 1504-2: ZA.1d, ZA.1e, ZA.1f და ZA.1g

DIN EN 1504-2:2004

Disboxid PHS-System OS 11 a+b

აბრაზიული წინააღმდეგობა	მასის დაკარგვა < 3000 მგ
CO2-გამტარიანობა	SD > 50 მ
ორთქლდიფუზიურობა	კლასი III
კაპილარული წყლის შთანთქმა და წყლის გამტარიანობა	w < 0,1 კგ/მ² x h0,5
ტემპერატურის ცვლილებისადმი მედეგობა	≥ 1,5 (1,0) N/მმ²
ძლიერი ქიმიური შეტევის მიმართ წინააღმდეგობა	სიხისტის დაკარგვა < 50%
ბზარების დაფარვის უნარი	B 3.2 (-20°C)
დარტყმისადმი მედეგობა	კლასი I
ადჰეზიის უნარის შეფასება	≥ 1,5 (1,0) N/mm²
აალების კოეფიციენტი	კლასი Efl-
მოჭიდება	კლასი III

EN 1504-2
EN 1504-2 „პროდუქტები და სისტემები ბეტონის კონსტრუქციების დაცვისა და შეკეთებისთვის - ნაწილი 2: ბეტონის ზედაპირის დაცვის სისტემები“ განსაზღვრავს მოთხოვნებს ზედაპირის დაცვის მეთოდების მიმართ. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით.

CE

Disbon GmbH

Roßdörfer Straße 50, D-64372 Ober-Ramstadt

08

DIS-443-001235 EN 13813:2002

სინთეზური ფისოვანი საფარი ინტერიერში
გამოსაყენებლად
EN 13813:SR-E_{fl}-B1,5-AR1-IR4

აალების კოეფიციენტი	E_{fl}
კოროზიული ნივთიერებების გამოყოფა	SR
წყლის გამტარიანობა	NPD
ცვეთამედეგობა	≤ AR1
გაჭიმვის ადჰეზიური მედეგობა	≥ B1,5
დარტყმის მიმართ მედეგობა	≥ IR4

EN 13813
DIN EN 13813 "Screed Mortars, screed compounds and screeds - Screed mortars and screed compounds - თვისებები და მოთხოვნები" (2003 წლის იანვარი) - განსაზღვრავს მოთხოვნებს ხსნაროვანი დანაფარების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ინტერიერის იატაკის კონსტრუქციებისთვის. სინთეზური ფისოვანი საფარები და გამჟღენთები, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტებს. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ "კაპაროლის" ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია "კაპაროლი" სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge